



**ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო**  
**G E O R G I A**  
**MUNICIPALITY COUNCIL OF VANI**



განკარგულება:გ-65.65221036  
 თარიღი:13/04/2022

**ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს  
 პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, უფლებამოსილების**

**განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 41-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს კანონის „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ მე-100 მუხლის მე-4 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტის, „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-16 მუხლისა და „ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირისა, უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის N27 დადგენილების შესაბამისად და ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის 2022 წლის 04 აპრილის N65-65220941 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

**მუხლი 1.** ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს, გარდა საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა, 2022 წლის მარტის თვის ხარჯები, (ჯამი - 6750 (ექვსიათასშვიდასორმოცდაათი) ლარი აუნაზღაურდეთ დანართი N1-ის შესაბამისად.

**მუხლი 2.** ვანის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა უზრუნველყოს თანხის გაცემა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

**მუხლი 4.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილიწესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1).

ალექსანდრე ლილუაშვილი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს  
 თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური  
 ელექტრონული ხელმოწერა/  
 ელექტრონული შტამპი

